საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/162 “ 18 ” ნოემბერი 202 0 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ლ. ბარდაველიძის ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4^1 პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, ლევან ბარდაველიძე 2020 წლის 1 დეკემბრიდან გამწესდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა
ლევან ბარდაველიძის ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 26 ივნისის №1/89 გადაწყვეტილებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2020 წლის 29 ივნისიდან 19 ივლისის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 31 კანდიდატი.

2020 წლის 24 ივლისიდან 21 აგვისტომდე მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის ლევან ბარდაველიძეზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 24 აგვისტოს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

ლევან ბარდაველიძეს აქვს სპეციალობით მუშაობის 27-წლიანი, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის 7-წლიანი გამოცდილება. იგი 2000-2005 წლებში იყო თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე, ხოლო - 2005-2007 წლებში თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.

ლევან ბარდაველიძე 2011 წელს დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ ლევან ბარდაველიძეს გაესაუბრნენ 9 ოქტომბერს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე და მას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2020 წლის 5 ნოემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15-მა წევრმა შეაფასა კანდიდატი ლევან ბარდაველიძე კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

ლევან ბარდაველიძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა 14-მა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს, ხოლო ერთმა წევრმა მიიჩნია რომ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

საბჭოს წევრთა მიერ ლევან ბარდაველიძის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 1242 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 82.80%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2020 წლის 18 ნოემბერს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის პირველ ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 14-მა წევრმა მიიღო, ლევან ბარდაველიძემ მოიპოვა 12 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე ბიულეტენში შეყვანილ იქნა 14 კანდიდატი, მათგან 1 მოქმედი მოსამართლე, 6 ყოფილი მოსამართლე და 7 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. ბარამიძე ია - 0 ხმა
2. ბარდაველიძე ლევან - 12 ხმა
3. გიორგაძე ნინო - 0 ხმა
4. დარახველიძე გიორგი - 2 ხმა
5. ვატიტაძე გრიგოლ - 0 ხმა
6. ზვიადაძე გიორგი - 0 ხმა
7. თაყაძე თეა - 0 ხმა
8. ლობჟანიძე გიორგი - 0 ხმა
9. ნარიმანიშვილი დავით - 0 ხმა
10. შოშიაშვილი მაია - 0 ხმა
11. ჩიქოვანი გვანცა - 0 ხმა
12. ხაბალაშვილი ნინო - 0 ხმა
13. ჯავახიშვილი მაია - 0 ხმა
14. ჯვარშეიშვილი მაია - 0 ხმა.

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატის - ლევან ბარდაველიძის კეთილსინდისიერების (საბჭოს 14-მა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს) და კომპეტენტურობის (სამართლის ნორმების ცოდნის, პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის) კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა 13 კანდიდატთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესდა ლევან ბარდაველიძე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი